KA000013749547122

№9033-03
25 / მაისი / 2022 წ.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ილია დევიძეს

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ალექსი ლოლიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ილია,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი 18 მარტის მოხსენებითი №4529-03 ბარათის საფუძველზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სახანძრი ჰიდრანტის წყლით უზრუნველყოფის მიზნით, შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ანგარიშზე სემეკის 26.11.2008წ. N32 დადგენილების მუხლი 18-1 მე-2 პუნქტის საფუძველზე, 23.03.2022წ. გადარიცხული იქნა დადგენილი მოსაკრებლის 9000 ლარის, ნახევარი-4500 ლარი, რის შემდგომაც შ.პ.ს. „გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანია“-მ უზრუნველყო სახანძრო ჰიდრანტზე წყლის დაერთება და აღრიცხვის კვანძის მოწყობა, რის შემდგომაც 18.05.2022წ. გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი N1, ღირებულებით 9000 ლარი.

ამ ეტაპზე კომპანიის მიერ შესრულებული ქსელზე დაერთების სამუშაოები შესრულებულია, კომპანიის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიები არ გაგვაჩნია, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თქვენი თანხმობის შემთხვევაში დაევალოს:

1) საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უზრუნველყოს თანხის 4500 ლარის გადახდა კომპანიის ანგარიშზე;

2) სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამის საიტზე ატვირთვა.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსი

ალექსი ლოლიშვილი